დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის

№ო/37 ბრძანებით

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში“ (შემდგომ ტექსტში - „გალობის უნივერსიტეტი“) ჩარიცხული პირის, ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით, ასევე შიდა მობილობით ჩარიცხვის მსურველი პირის, სტატუსაღდგენილი, უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის და გაცვლითი პროგრამის სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად მოპოვებული კრედიტების და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისგან განსხვავებული სისტემის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების მიმღებ/მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის,კრედიტების აღიარებისა და გაანგარიშების წესს.

მუხლი 2. მიღებული განათლების აღიარების/ კრედიტების გაანგარიშების პრინციპები

1. გალობის უნივერსიტეტში შიდა მობილობის/მობილობის ფარგლებში გადმოსული/სტატუსაღდგენილი/უცხოეთში სწავლის პერიოდში/გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარება და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისგან განსხვავებული სისტემის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება / გაანგარიშება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობისა და/ან თავსებადობის დადგენა;

ბ) სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობისა და/ან თავსებადობის დადგენა;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული/დაგროვილი კრედიტების დადგენა.

მუხლი 3. მიღებული განათლების აღიარების კომისია

1. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენისა და კრედიტების აღიარების მიზნით, რექტორის ბრძანებით, გალობის უნივერსიტეტში იქმნება განათლების აღიარების კომისია (შემდგომ ტექსტში - „კომისია“), რომელშიც უნდა შედიოდეს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი და გალობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა, კომისიას შესაძლებელია დაემატოს სხვა პერსონალი.
2. კომისია საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობისა და გალობის უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

მუხლი 4. მიღებული განათლების აღიარებისა და კრედიტების გაანგარიშების პროცედურა

1. სტუდენტი მიღებული განათლების აღიარებისა, ან კრედიტების გაანგარიშების მოთხოვნის მიზნით გალობის უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია.

2. მიღებული განათლების, კრედიტებისა და მიღწეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, მათ შორის, გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე.

3. განათლების აღიარების მიზნით წარმოდგენილ სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული უნდა იყოს სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების სახელწოდება, კრედიტების/საათების რაოდენობა და მიღებული შეფასება.

4. წარმოდგენილ დოკუმენტებს განიხილავს კომისია.

5. კრედიტების აღიარების მიზნით, კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სილაბუსები/ანოტაციები/აღწერილობა.

6. კომისია წარდგენილი დოკუმენტების/მობილობის ელექტრონულ პორტალზე არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ამზადებს დასკვნას კრედიტების აღიარების და/ან ცნობას კრედიტების გაანგარიშების შესახებ.

7. მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტი ეცნობა კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნას და, თანხმობის შემთხვევაში, ხელს აწერს შეთანხმებას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე.

8. უცხოეთის უსდ-ში დაგროვებული კრედიტების აღიარება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს კანონდებლობის

შესაბამისად გალობის უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე.

9. უცხოეთის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში გასავლელი სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომლებიც ერთობლივად ადგენენ გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისობას გალობის უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო კურსებთან, რის საფუძველზეც დგება სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.

10. აღიარების პროცედურა უნდა განხორციელდეს სტუდნტის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ გალობის უნივერსიტეტში განცხადების შეტანიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში. გამონაკლის შემთხვევებში გონივრული ვადების გათვალისწინებით შესაძლებელია კრედიტების აღიარების/გაანგარიშების ვადის გახანგრძლივება.

მუხლი 5. კრედიტების აღიარების წესი

1. გალობის უნივერსიტეტში აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები (სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი), რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარებისა და თავსებადობის დადგენის გზით სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე.

3. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელების, სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების, კრედიტების რაოდენობის მიხედვით, ხორციელდება ასეთი კრედიტების ავტომატური აღიარება.

4. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა აღემატება საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, კრედიტის აღიარება ხორციელდება გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო კურსისთვის დადგენილი კრედიტების მოცულობის შესაბამისად.

5. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის/კომპონენტის კრედიტის მოცულობა ნაკლებია მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტზე, სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, კრედიტების აღიარება ხდება იმ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული კრედიტების მოცულობით, რომელზეც განხორციელდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა.

6. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია, დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/კომპონენტის შესაბამისობა იმ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსთან, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა, მიუხედევად სასწავლო კურსების სახელწოდებებსა და კრედიტებში განსხვავებისა. სტუდენტს კრედიტი უღიარდება სწავლის მიზნებისა და შედეგების საფუძველზე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად. ამ მიზნით, გალობის უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გამოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტაცია შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

7. შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე და სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია რამდენიმე სასწავლო კურსის დაჯგუფება და გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ, ან რამდენიმე სასწავლო კურსად აღიარება.

8. მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, აღიარებას ექვემდებარება, აგრეთვე, ისეთი სასწავლო კურსის დაძლევის შედეგად მოპოვებული კრედიტები, რომელიც გათვალისწინებული არ არის საგანმანათლებლო პროგრამით. წარმოდგენილ შემთხვევაში, მისი აღიარება შესაძლებელია ე.წ. თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

9. თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსით, შესაძლებელია, აღიარებული იქნეს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტმა, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, შეისწავლა როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

10. თავისუფალი კრედიტების ზემოთ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები შესაძლოა აისახოს დიპლომის დანართში.

11. თუ უცხოეთის უსდ იყენებს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემისაგან (ECTS) განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარადგინოს უცხოეთის უსდ–ს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.

12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე, უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მუხლი 6. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

2. აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტუდენტს შეუძლია მიმართოს გალობის უნივერსიტეტს წერილობითი განცხადებით ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით.

4. კომისია ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას გალობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

5. სტუდენტი, რომელმაც განცხადებით მიმართა გალობის უნივერსიტეტს ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტიები (დიპლომი, დიპლომის დანართი, ან სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი და გავლილი სასწავლო კურსის/კურსების შინაარსი (სილაბუსი)).

6. წარმოდგენილ დიპლომის დანართში, ან სათანადო წესით დამოწმებულ ნიშნების ფურცელში/სასწავლო ბარათში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული უცხოური ენა (დაძლეული დონის მითითებით), რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს.

7. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია, ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.

8. გალობის უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პირობების გათვალისწინებით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად.

მუხლი 7. კომისიის დასკვნა

1. სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე მზადდება დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. დასკვნა, სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, იგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.

2. დასკვნაში აღინიშნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა აღიარება მოხდა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, შესაბამისი (აღიარებული) კრედიტების და მოპოვებული შეფასებების მითითებით.

3. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია დასკვნა ასევე მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზების შესახებ.

მუხლი 8. რეკომენდირებული სასწავლო სემესტრი

1. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს გარკვეული სემესტრიდან.

2. სემესტრის განსაზღვრისას, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულოა, მაგრამ მობილობის მსურველ სტუდენტს გავლილი ან აღიარებული არა აქვს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის/სემესტრების გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ.

მუხლი 9. აპელაცია

1. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია რექტორთან (საჩივარში მიეთითება მოთხოვნა და გარემოებანი).

2. რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც უფლებამოსილია:

ა) საჩივარი დააკმაყოფილოს, გააუქმოს კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და დაუბრუნოს კომისიას ხელახლა განხილვის მიზნით;

ბ) საჩივარი არ დააკმაყოფილოს და ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წესი დამტკიცდეს რექტორის ბრძანებით.

2. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.